№ 260. კვირა, 20 ივლისი.

1896—1897

კვირა, 20 ივლისი, № 260.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція „Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ეროვნული ბიბლიოთეკა

«ცნობის ფურცლის» სხვა სტამბაში გადატანის გამო შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 22 ივლისს.

„ბანკის ბაღი“

სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო მამულში.

დღე მუდამ საყოველთაო სეირნობა

ყოველ საღამოს იმართება მომღერალთა გუნდის კონცერტები, სახუმარო სცენები, ცეკვა-თამაში, სიმღერები და სხვა.

მომღერალთა დასი შესდგება შემდეგის არტისტებისაგან: ააკაზიანი, დოცენკო, პროცენკო, პოლიანსკი, ჩისტიაკოვისა, სულდინისა, კარლიჩენკო და სხ. მრავ. სიმღერებს და სცენებს ასრულებენ შესაფერის ტანისამოსებით.

დირექცია შვამისა.

საღამოობით ბაღში უკრავს საზანდარი.

დღისით შუადღიდან 4 საათ. სამხედრო მუსიკა. სეირნობა და დროს გატარება იწყება საღამოს 9 საათიდან.

ბაღში შესვლის ფასი 20 კაპ.

ბალთან გამართულია

მშვენიერი ბუფეტი და რესტორანი

საჭმელ სასმელი საგანგებოა, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე ევროპიული. საჭმლები მზადდება განსაკუთრებით კარაქზე.

სადილი 4 კერძი, არაყი, ნახევარი ბოთლი ღვინო და ყავა . . . 1 მან.
— 2 კერძი, არაყი და ბოკალი ღვინო ღირს . . . 50 კაპ.

როტონდები, აუზები და კერძო ხეივანები.

!!მიიღება შეკვეთა დიდ სადილ-ვახშმებზე იაფ ფასად!!

ბაღში იყიდება იაფად ყოველნაირი ყვავილები, თაიგულები და სხვა.

იქვე გამართულია სამი ფრეიბერგის ბილიარდი.

ფასი ყველაფერზე ზომიერია.

ბაღის პატრონი ზ. ნ. სხირტლაძე.

„Банковскій садъ“

Ежедневное развлеченіе:
Хоръ, пѣвицы, пѣвцы, танцы, куплеты и проч.
Военный оркестръ и сазандари.
РОСКОШНЫЙ БУФЕТЪ
образцовая кухня, провизія свѣжая.
Цѣны на все умѣренныя.

(10—5)

მ. ქ. პრმსმანი

უსრულებს დავალებას, ვისაც ჰსურს იყიდოს, გაჰყიდოს, დააგიროს, ანუ გადააგიროს მამულები. კონტორას ჰყავს თავისი „ლესნიჩი“, რომელიც შეადგენს მამულების გეგმებს და დააფასებს.

კონტორა იმყოფება გოლოვინის პროსპექტზე, „მეტროპოლის“ ნომრებში, № 17, ახალის თეატრის პირდაპირ. (20—18)



სავაჭრო სახლი

ს. პ. პავლოვი და კ.

ტფილისი, დოროს-მელიქოვის ქ., № 6, სასულიერო სემინარიის პირდაპირ.

მთელს ქვეყნიერობაზე განთქმული და საუკეთესო

საკერავი მაშინები

ხელით სატრიალებელი 22 მან. 40 მანათამდე,

ფეხით სატრიალებელი ყოველ გვარ საქმობისათვის ადვილი და მსუბუქად დასატრიალებელი.

მაშინების სიკეთეს სამის წლით თავდებად ვუდგებით.

ფასის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილად.

Торговый домъ С. П. Павлова и Ко. (100—65 წ.)

ქართული თეატრი.

საზაფხულო თეატრში „ერმიტაჟი“

კვირას, 20 ივლისს,

ქართულ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენილი იქნება:

I

ბაიყუში

კომედია 2 მოქ. ცაგარლისი.

II

არც აქეთ არც იქით

ვოდ. 1 მოქმ. გუნიასი.

III

დივერტისმენტი და ლეკური

ანტრაქტებში დაუკრავს გამოჩენილი მომღერლის გუნდი

აბდულ-ბაღი

ადგილების ფასი დაკლებულია.

დასაწყისი სეირნობისა 7 საათზედ, წარმოდგენისა 9 საათზედ.

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.

დილაობით

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ.- საათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

ე. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მედ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. ზროტასკევიჩ. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. $1—1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. ზროტასკევიჩ. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. $6^1/_2—7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია

ს. ზ. თოფურიასი

ქუთაისში

სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.

გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.

ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. .ზ თოფურია.

საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—შ. კ. ზერრატი.

დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.

თვალების ავადმყოფობას—ი. კ. არშავსკი.

ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტეოროლოგიო გამოკვლევისათვის, ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.

სამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

ექიმი

ე. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფს იღებს ყოველ დღე დილის 11—12 საათამდე და საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

ანბანი

ქართული გოტიკური

ფასი ერთი შაური.

იყიდება ყველა ქართულ წიგნის მაღაზიებში.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

18 ივლისი.

რიბინსკი. 17 ივლისს, ნაშუადღევის მესამე საათზედ, ქარავანში ცეცხლი მოეკიდა ერთს ნავს და მერე კიდევ პურით დატვირთულ სამს დიდს ნავსა. დანარჩენის ქარავანისა შიში არ არის.

კონსტანტინეპოლი. ხმა დადის, რომ 18 ივლისს, თოფხანეში კრება მოხდასამხედრო საზღვაური სა და საბერძნეთის ფინანსთა საქმის კონტროლის შესახებ მუხლის გამოსარკვევად.

ფილიპოპოლი. შუაღამე გადასული იყო, რომ სასამართლომ შემდეგი განაჩენი გამოიტანა: კაპიტანი ბოიჩევი და ნოველიჩი სამუდამოდ დაპატიმრებულ იქმნან საპყრობილეში. ვასილიევი დაპატიმრებულ იქმნას 6 წლით და 8 თვით. ნიკოლოოზ ბოიჩევი გაამართლეს.

სიმლა. გუშინა და გუშინ წინ ინგლისელებს დიდი ბრძოლა ჰქონდათ ჩიტრალელებთან. ინგლისელთა მხრივ მოკლულ იქმნა 13 და დაჭრილია 43 კაცი.

კერძო დეპეშა.

გორი. „მათმა იმპერატორებითი უმაღლესობამ დიდმა მთავარმა მიხეილ ნიკოლოზის ძემ კეთილ-ინება და გააბედნიერა გორის მემამულეთა და მეურნეთა ამხანაგობა თვისის უმოწყალესის მონაწილეობით.

თავმჯდომარე ამხანაგობის მმართველობისა თავ. ბაგრატიონ-დავიდოვი“.

ახალი ამბავი

⁂ თავ. ილია ჭავჭავაძის იუბილე და სრულიად საქართველოს „ცენტრალი დეპო“ ქ. ტფილისში. ბატონო რედაქტორო? ბევრი ითქვა თქვენს გაზეთში შესახებ იმ დიდად საყურადღებო საგნისა, რომელსაც ჰქვიან იუბილეი ჩვენის ქვეყნის საუკეთესო შვილისა, მისის თავმოყვარეობის და თავმოწონების განმახორციელებელისა. იმ ბევრთან მოასმენინეთ ჩვენს ერს ეს ჩემი ბეჩავი აზრიც, აზრი მოხუცებულის კაცისა, რომელი კ ცოცხალი მოწამეა მისი, თუ ვითარის თანდათანობით იზრდებოდა ამ ორმოცის წლის განმავლობაში ქართველობის თვით-ცნობიერება და რა ადგილი და პატივი ეკუთვნის დამსახურებულს იუბილიარს ერის თვით-ცნობიერების ზრდაში.

იყო დრო, ბატონო ჩემო, შავბნელით მოცული. იყვნენ ქართველები, მაგრამ საქართველო კი არ იყო. თვით საუკეთესო შვილთ, ჩვენის ქვეყნისას ევუცხოვებოდათ აზრი „ქართველთა საქმისა“, საზოგადო მოღვაწეობისა და ინტერესებისა. ეს იყო იგი დრო, რომელსაც გაურბოდა მგოსანი სიტყვებით; „გაწყი, მერანო, შენს ჭენებას არ აქვს სამზღვარი, და ნიავს მიეც ფიქრი ჩემი შავად მღელვარი“. ასეთს ვაგლახს გარემოებაში, ასეთს ვაგლახს დროში შემოდგა ფეხი ქართულს მწერლობაში და ქართულს ცხოვრებაში პატარა გუნდმა, ზეგარდმო ნიჭით ცხებულმა, ახალგაზდა მწერლებისამ ამ ორმოცის წლის წინად.

ოჰ, იცით, შვილებო, რა დრო იყო ის? მისი წასვლა და აღარ დაბრუნდება! ტყუილად როდის დასტირდა იუბილიარი: „კაცი არ არის, რომ ფიქრი ვანდო, და აზრი ჩემი განვუზიარო“. არც იყო კაცი, კი, თუ ჩინებზედ, სამსახურზედ, ღვინოზედ, ქალებზედ ელაპარაკებოდით, იცოცხლე, კაცსაც იშოვნიდით და ხალხსაც ამფსონად: მაგრამ თუ საზოგადო, საეროვნო საკითხს აღძრავდით, თქვენი სიტყვა არავის ესმო-

ეა. წიგნი არ იყო, სკოლა არ იყო, გაზეთი არ იყო, ჟურნალი არ იყო, ან ვის რად უნდოდა, რომ კიდევაც ყოფილიყო. იქნება სწორედ იმიტომ არ იყო, რომ არავინ საჭიროებდა ასეთს „წარა-მარა“ საქმეს.

დღეს, მადლობა ღმერთს, სულ სხვას ვხედავთ. ჩვენმა ერმა დიდი ნაბიჯი გადადგა წინ, იცნო მეტნაკლებობით თავისი თავი და, ვფიქრობთ, რომ იგი დადგა უკვე იმ გზაზედ, რომლითაც უსიკვდილოდ მიახწევს ყოველს თავისს კეთილ-განზრახულს, თუ წინ უცნაური და „ექსტრაორდინარული“ არა გადაეღობა-რა.

მერე ვისის მეოხებით და ვისის წყალობით მოხდა ასეთი „აღდგენა მკვდრეთით“ ჩვენის ქვეყნისა? რასაკვირველია, აქ მომქმედნი ძალიანი მრავალნი იყვნენ. დრო, სწავლა-სკოლა, ჟურნალისტიკა, მთავრობა და მის მიერ შემოღებული რეფორმები, ახალი სამართალი... და ანკი მოსთვლის კაცი ყველა იმ გარემოებათა, რომელთაც ხელი შეუწყეს ჩვენს გამოფხიზლებას.

სწორედ ისე, როგორც ასპინძის ომი მოუგეს თათრებს ყველა იქ დამსწრე ქართველებმა. მაგრამ მიუხედავად ამ უეჭველობისა, ისტორია ასპინძის გმირად სცნობს მეფე ერეკლეს. ყარსის ციხე რუსის მხედრობამ აიღო, მაგრამ ისტორიამ ეს სახელი დაუკავშირა გრაფის ლორის მელიქოვის სახელს. აი რა არის მიზეზი, და უმადურობა იქნებოდა (უმადურობა ყოველ ცოდვაზედ საშინელია), რომ განვლილ 40 წელსაც არ ვუწოდოთ ხანა ილია ჭავჭავაძისა და ჩვენის გამოღვიძების მიზეზადაც ის არ ჩავსთვალოდ, როგორც მეფე ერეკლეს ვსთვლით „ასპინძის ომის“ მომგებად. მოვერიდნეთ უმადურობას, მივცეთ კეისრისა კეისარს და მღვთისა ღმერთს.

ჩემის ფიქრით, ჭავჭავაძის ხანას ის დიდი ღირსება დაჰრჩება ისტორიაში, რომ მან გამოაღვიძა ქართველობა მავნებელ და მამაკვდინებელ ძილიდგან. გააღვიძა ერში თვით-ცნობიერება. ყოველის ერის ზრდაში ეს პირველი და ძნელი ხანაა, მასთან იგი არის ხანა იდეიური. რა გამოიღვიძა ერმა, იგი თხოულობს საქმეს პრაქტიკულს, იგი ღაღადებს: ჩამჩიჩინებდით, დღე და ღამ არ მასვენებდით, რომ „იცან შენი თავიო“. აჰა, ვიცან, ახლა სადას მიბძანებთ გავაკეთო. აი სწორედ ეხლა ასეთს ხანაში ვართ ჩვენს სულიერს ზრდაში. სარბიელი, რომელიც მოითხოვს ახალს ჭავჭავაძეებს, ახალს მუშაკებს, მხოლოდ მომეტებულად მუშაკებს პრაქტიკულს. ჩვენ გვწყურიან ახლა საქმე.

რომ ღარიბები ვართ, შევიგნეთ. უსწავლელნი ვართ, გავიგეთ. შემდეგ? ამის შეგნებაზედ ხომ ვერ დავიძინებთ.

ჭავჭავაძის ხანამ თავისი საქმე გააკეთა, თავისი სიტყვა სთქვა. ეს ყველაზედ ადრე იგრძნო—შეიტყო თვით იუბილიარმა და აი, ჩვენის ფიქრით, მიზეზი, რომ მისი შრომა-მოღვაწეობა უკანასკნელ ფორმაციისა სულ არ წააგავს შრომასა და ღვაწლს წინა დროისას. ჭავჭავაძე პოეტი, ჭავჭავაძე—ბელეტრისტი გახდა ჭავჭავაძეთ ეკონომისტად, ჭავჭავაძე ფინანსისტად, ჭავჭავაძე—ბანკირად, ჭავჭავაძე ქალაქის საქმეებში მებრძოლად,

ასეთის მოქმედებით თვით აღიარა, რომ ერთი საქმე უკვე გაკეთდა, ერთი ხანა უკვე გავიდა. დადგა მეორე ხანა,—ხანა პრაქტიკულის მოღვაწეობისა და აქაც მეთაურობა იწყო.

თუ აქამდის ნათქვამი დარბაისელ ქართველთ სიმართლედ მიაჩნიათ და არა ნაყოფად მოხუცის ჭკუის ოცნებისა, იმაშიაც უნდა დამეთანხმნენ, რომ საუკეთესო ძეგლი, შესაფერი ჭავჭავაძის წარსულის და აწმყო მოღვაწეობისა იქნება ის, რომ დავუმტკიცოთ მას: ჰო, შენმა ღვაწლმა მუქთად არ ჩაიარა, დიახ, ჩვენ გამოვფხიზლდით, სწორედ რომ ჩვენ ეხლა საქმის ხანაში შევედით და აი შენს სამარადისოდ სახსოვრად გიდგამთ ძეგლს, რომელიც სავსებით შეეფერება და პირდაპირი ნაყოფია შენის მოღვაწეობისა; ვიწყობთ საქმეს საეროს, დიდს, ეკონომიურად ჩვენს მშველელს და წელში გამასწორებელს და ვნათლავთ მას შენის უკვდავის სახელით.

ეს საქმე უნდა იყოს, ქართველობავ: სრულიად საქართველოს ცენტრალური სავაჭრო და სამრეწველო ჭავჭავაძის საზოგადოება ქ. ტფილისში.

აი, ჩემო ბატონებო, საქმე დიდი, შესაფერი ჭავჭავაძის დიდის სახელისა.

ნულა დავკარგავთ დროს და შევუდგეთ საქმეს. შეკრბეს შესაფერი კომიტეტი და იკისროს საწევრო ფულის მიღება და მოსწყდება მთელის საქართველოიდამ ნაკადულები და ჩავა ამ ცენტრალის ფულის „აუზში“, შესდგება საერო, საქვეყნო თანხა და მერე ხომ... საქმის დაწყებაც ადვილია.

დღევანდელი დღეც, 20 ივლისი 1897 წლისა, დღე, როდესაც ჩვენი სასიქადულო მამულიშვილი და ჩვენი თავის მოწონება თავ. ილია ჭავჭავაძე განისვენებს შრომისაგან სოფ. საგურამოში და აუარებელის რიცხვის პატივის-მცემელთა შორის დღესასწაულობს თავისს სახელ-წოდებას „ილიაობას“,—ეს დღეც დავსდოთ დასაწყისად ამ დიდი საქმისა. მე ჩემის მხრივ გადამიდვია ამ საგნისთვის 50 მანათი, რომელსაც მსწრაფლ წარვადგენ, რაკი დაარსდება კომიტეტი ანუ ნაჩვენები იქნება ბანკი, სადაც მოიკრიბება ფულები ამ საგნისათვის.

მაშ დავიწყოთ, ბატონებო, ეს საქმე პატარიდან და გჯეროდეთ, რომ დიდი მომავალი ექნება, რაკი დიდებული კაცის სახელით იქნება მონათლული და სახელ-წოდებული „სრულიად საქართველოს ცენტრალ დეპო“.*)

ძველი ეკალი.

⁂ **ხელოსანთა კრება.** დღეს, დილის 9 საათზე, ქართულ თეატრის დარბაზში დანიშნულია მეორე კრება ქართველ ხელოსანთა წესდებისა და სხვა საგნების გამოსაკვლევად; მკითხველებმა უკვე იციან, რომ ტფილისში არსდება ხელოსანთა სამრეწველო ამხანაგობა. კრებაზე დასწრება ყველას შეუძლიან.

⁂ **გზათა მინისტრის წაბრძანება.** გუშინ-წინ გზათა მინისტრი თავ. მ. ი. ხილკოვი ბ-ნ ვიცე გუბერნატორითურთ გაემგზავრა თიანეთისაკენ, სადაც დაათვალიერებს ადგილებს კახეთში გასაყვან რკინის გზისათვის. ტფილისიდან წასვლის წინად ბ-ნ მინისტრს ვიზიტი მიუცია ბ-ნ გუბერნატორის მოადგილის სტეფანოვიჩისა და პოლიცმეისტერის მოადგილის ლოლაძისათვის.

⁂ **ყარსის რკინის გზა.** გზათა მინისტრს, დაუთვალიერებია რა ყარსის რკინის გზა, მოუწონებია მუშაობა. ეხლა რკინის გზის უფროსი ბ-ნი ვურცელი, უცხადებს-რა თავისს ხელ ქვეითებს ბ-ნ მინისტრის მადლობას, ამბობს, რომ თუ ეგრე ვიმეცადინეთ და გავისარჯენით, როგორც აქამდე, რკინის გზა მომავალის წლის დამლევამდე მზად იქნებაო.

⁂ **თავ. ივ. მაჩაბლის ავადმყოფობისაგან განკურნება.** როგორც შევიტყეთ, თავ. ივანე მაჩაბელი ეხლა სრულებით კარგად არის. ჭრილობა თუმცა მთლად არ შეჰკვრია, მაგრამ თავისუფლად დადის და ეტლითაც დასეირნობს. 24 ამ თვეს, ხუთშაბათს, ნაშუადღევის სამ საათზე მატარებლით სოფელში მიჰყავთ, სადაც, იმედი აქვთ, ჩინებული ჰაერი მალე სრულებით ამოშლის კვალს ავადმყოფობისას.

⁂ **ცირკში სიარულის აკრძალვა პოლიციის მოხელეთათვის.** პოლიცმეისტერის მოადგილეს ბ-ნ ა. ტ. ლოლაძეს აღუკრძალავს იმ პოლიციელ მოხელეთათვის, რომელნიც მორიგად არ არიან დანიშნული ცირკში, აღეკრძალოთ იქ სიარული, რადგან ამით საქმეს ცდებიან პოლიციის მოხელენიო.

⁂ **სავაჟო პროგიმნაზია ავლაბარში.** ამას წინედ ჩვენს გაზეთში მოხსენებული გვქონდა, რომ ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ბ. ბაბოვმა წინადადება შეიტანა საბჭოში ავლაბარში სავაჟო პროგიმნაზიის დაარსების შესახებაო. ეხლა გვატყობინებენ, რომ ამ საქმის გამო ქალაქის გამგეობა ჰკრებს ცნობებს,—თუ რამდენი ხარჯი დასჭირდება ქალაქს ხსენებულის პროგიმნაზიისათვის და რამოდენი ბავშვი სწავლობს ქალაქის სხვა-და-სხვა სასწავლებლებში და განსაკუთრებით სამს გიმნაზიაში ავლაბრიდამ და ნავთლუღიდგან.

⁂ **ყრილობა აღმოსავლეთის მცოდნეთა პარიზში.** ამ წლის სექტემბრის 5—12 პარიზში მოხდება კრება (კონგრესი) ორიენტალისტებისა, თანხმად გადაწყვეტილების უკანასკნელ X კონგრესისა ჟენევაში 1894 წ. პარიზის კონგრესი იქნება პრეზიდენტ ფორის მფარველობის ქვეშ, შვეციის მეფე და უელსის პრინცი თავმჯდომარეებად იქნებიან. საპატიო წევრებად კრებამ მოიწვია უცხოთა საქმეების მინისტრი, გენერალ-გუბერნატორი ალჟირისა და ინდო-კიტაისა, სპარსეთის ელჩი პარიზში. უმთავრესი კომიტეტისაგან დაარსებულია სხვა-და-სხვა ქალაქებში „პროპაგანდის კომიტეტები“. საწევრო ფული 20 ფრანკია, შეიძლება გაიგზავნოს ამ ადრესით: Ernest Leraux, Paris, 28 rue Banoparte. კრების წევრებისთვის რკინის გზებზედ დაწეულ იქნება ფასი ჩვეულებრივად. კონგრესი კარგა ხანს გასტანს და შვიდ განყოფილებად არის განაწილებული. ეს კონგრესი ჩვენ ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია, რადგან იგი განიხილავს მრავალ საგნებს აღმოსავლეთი ქვეყნებისას. უეჭველია, საზოგადოდ კავკასიაზე და კერძოდ საქართველოზედაც იქნება ბაასი. სასურველია, რომ ხსენებულ კონგრესს დაესწრებოდეს ვინმე ჩვენი ისტორიისა და არხეოლოგიის მცოდნე პირი.

⁂ **ორის ქალის დარჩობა არაგვში,** 12 ივლისს, თურმე, ორი გლეხის ქალი ურმით მიემგზავრებოდნენ სოფ. ნატახტარიდამ მცხეთისაკენ; მდ. არაგვზე რომ გადიოდნენ, საცოდავებს ურემი გადაბრუნებიაო, წყალში ჩაცვივნულან და დამრჩვალან.

⁂ **თავის ნებით გამოსულ ჯარისკაცთა სამსახურში მიღება.** უმთავრესს სამხედრო შტაბს განუმარტავს ის ვადები, თუ როდის შეიძლება ხოლმე მიღებულ იქმნან სამხედრო სამსახურში თავის ნებით გასულნი ჯარის კაცნი (вольноопредѣляющійся) და ისიც, თუ რა დროიდამ ითვლებიან ხოლმე სამსახურში ხსენებული ჯარის კაცნი: სამსახურში ჩარიცხვა შეიძლება 1 იანვრიდამ—1 ოქტომბრამდე, ხოლო 1 ოქტომბრიდამ—1 იანვრამდე სამსახურში არავინ მიიღება. სამსახური ეთვლებათ: იმათ, ვინც 1 სექტემბრამდე იქნება მიღებული—1 სექტემბრიდამ,

---

*) რედაქცია სრულიად თანაუგრძნობს ამ ორიგინალურს აზრს პატივცემულის ავტორისას და გულითა და სულით არის მოწადინებული, რომ მისი განზრახვა განხორციელებულ იქმნას. მხოლოდ, რომ საზოგადოებაში უფრო გავრცელდეს მისი აზრი და მალე სიტყვას თანაგრძნობა და საქმეც მოჰყვეს, ურიგო არ იქნება მოკლე გეგმა დახატოს ამ ახალის და საერო დაწესებულებისა. რედ.

სამეცნიერო ცნობა.

გაკოტრდა თუ არა მეცნიერება?

(იპ. ვართ—ვას წერილის გამო)

წავიკითხე-რა „ცნობ. ფურც.“-ის 222 №-ში წერილი იპ. ვართ—ვასი ბობორიკინის ლექციის გამო, არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა იმ ღრმა აზრზე, რომელიც გაჰყავს თავისს წერილში პატივცემულს ავტორს. არც დრო და არც გარემოება არ მაძლევს ნებას, შევუდგე ან იპ. ვართ—ვას წერილის, ან თვით ბობორიკინის ლექციის მეცნიერულად გარჩევას; მე მსურს მხოლოდ მოკლედ ჩემი აზრი გამოვთქვა იმ ფიქრით, რომ ამ საგანზე რაც უფრო მეტი აზრი გამოითქმის, ის ემჯობინება.

„ნუ თუ ჩვენს საუკუნეში და მეცნიერების ასეთს ძლევა მოსილს ზრდაში შესაძლოა კიდევ ასეთი კითხვა: გაკოტრდა თუ არა მეცნიერება? ალბად საჭირო ყოფილა, თუ ამ საგანზე საჭირო ლექციებსაც კითხულობენ. ალბად კაცს რაღაც ეჭვი შეჰპარვია მეცნიერების ძლევა-მოსილობაზე; ალბად მას არ აკმაყოფილებს ის, რაც მეცნიერებამ შეჰქმნა და აღმოაჩინა!“ ამბობს პატივცემული ავტორი და შემდეგ მოგვითხრობს, როგორ სიცილით და წყევა-კრულვით უკუ აგდეს სარწმუნოება ფრანგებმა, როგორ იწამეს და აღიარეს კიდეც ადამიანის ჭკუა-გონების ძლევა-მოსილობა—„კულტი გონებისა“ და შემდეგ როგორ თან-და-თან ამოჰყო თავი საზოგადოებაში უკმაყოფილებამ მეცნიერების მიმართ, როგორ გაიზარდა ეს უკმაყოფილება რამდენისამე წლის შემდეგ და ბოლოს მიიღო ხასიათი სერიოზულ მოძრაობისა—ამბოხებისა, მეტადრე საფრანგეთში.

დიაღ, კაცს სწორედ ეჭვი შეეპარა მეცნიერების ძლევა-მოსილობაზე, მხოლოდ ამის მიზეზი მეცნიერების გაკოტრება არ არის; ან-კი გაკოტრებას რა ალაგი აქვს იქ, სადაც, ავტორისავე სიტყვით, ყოველი წელი, თვეც-კი გვიმტკიცებს მას, რომ მეცნიერება არამც თუ არ კოტრდება და არ ულალატებს თავისს საგანს, პირიქით, ყოველ წლობით მოქმედებს და ძლევა-მოსილობს. მეორე მხრით, უკმაყოფილება მეცნიერების მიმართ რომ თან-და-თან იზრდება, ამაზედაც ხომ ეჭვი არ არის; მაშ რას მივაწეროთ ეს უკანასკნელი გარემოება? ბობორიკინის აზრით, ამბობს ავტორი, ასეთი უარ-ყოფა მეცნიერებისა შედეგია იმისი, რომ ერთმანერთში ურევენ ორს სხვა-და-სხვა საგანს, სულიერ-ზნეობრივს მოთხოვნილებას და ცოდნისძიებას, რომლითაც ჩვენა ვცდილობთ შევიგნოთ ჩვენი „მე“.

ეს ყველა კარგი, მაგრამ ეს თუმცა ყოვლად სამართლიანი აზრი არ უნდა იყვეს ერთად-ერთი მიზეზი მეცნიერების მიმართ უკმაყოფილებისა და თავი და თავი მიზეზი სხვაგან უნდა იმალებოდეს. წარმოიდგინეთ კაცი ღრმა ძილში, რომელიც სიზმარში, როდესაც მას სასიამოვნო ტკბილი მომავალი ელანდებოდა, უეცრად რაღაც ხმაურობამ გამოიყვანა ტკბილის ოცნებიდამ; კაცი ჰგრძნობს აშკარად, რომ სიზმარში იყო, სცდილობს გამოერკვას და ვერ მოუხერხებია; ადვილად წარმოსადგენია, რა უსიამოვნო წუთებს ატარებს კაცი ამ ბრძოლაში, სანამ სრულიად გაიღვიძებდეს და გრძნობა-გონების დაწყნარებას მოიპოვებდეს; სხვა-და-სხვა მეცნიერების იდეების წყალობით კაცმა სიზმრად, ილიუზიად აღიარა წარსული, უკუ აგდო სარწმუნოება, აღტაცებით მიეგება და იწამა „კულტი გონებისა“, მაგრამ აქაც თითქო პირში ჩალა-გამოვლებული დარჩა და რაკი ზოგიერთ მსოფლიო კითხვებს სრული ნათელი ვერ მოჰფინა თავისის მეცნიერებით, რაკი ვერ გამოვიდა იმ ძნელი ლაბირინტიდამ, საიდამაც შუქს, სინათლეს ცხადათ ხედავს, გრძნობს და-კი ვერ მიუღწევია ისთვის, პესიმიზმში ჩავარდა. ნაცვლად იმ შეუბრალებლად გაფანტულის ოცნებისა, რომლითაც კაცი ასე თუ ისე სცხოვრებდა, უკანასკნელმა ულარაფერი ჰპოვა სულის სიმშვიდისათვის და მუდამ მოუსვენრად რაღასაც ეძებს და რაც უფრო დიდხანს გასტანს ეს ძიება, მით უფრო მეტი ეჭვი შეეპარება კაცს მეცნიერების „გონების კულტის“ ძლევა-მოსილებაზე და ვინ იცის, თუ ბოლოს კაცობრიობა, სულის სიმშვიდის ძიებით დაღლილ-მოქანცული, კვლავ არ მიეცემა წყნარს ძილს, უნიადაგო ოცნებით შეზავებულს ილიუზიას, არ დაუბრუნდება ისევ სარწმუნოებას; ეს მიძნება ეხლაკი გამონაგარიშების შედეგი იქმნება, როგორიც უნდა იყოს ეს გამონგარიშება, რასაკვირველია, მეცნიერებას „არარად“ ვერ აქცევს, ვერც უარ-ჰყოფს მის თეორიას, ხელსაც შეუწყობს სოციალიზმს, მუშათ სურვილ-მისწრაფებას და ყვე-

ხოლო დანარჩენებს, ე. ი. იმათ, ვინც 1 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს შუა იქმნებიან მიღებულნი—1 ოქტომბრიდამ, ხოლო სამსახურში მიღებულად მხოლოდ ისინი ჩაითვლებიან, ვინც მოთავსებული იქნება სამხედრო მთავრობის წერილობითს განკარგულებაში.

⁂ **ამხანაგობა იმპერიაში მოგზაურთათვის.** ამ დღეებში ხარკოვიდგან გამოიდა რამდენიმე ამხანაგობა საშუალო და დაბალ სასწავლებლების მასწავლებელთა რუსეთის სხვა-და-სხვა ადგილებში სამოგზაუროდ. მგზავრები დაათვალიერებენ კავკასიას, ყირიმს და მდ. ვოლგის ნაპირებს. ამხანაგობის თითეულ წევრს უნდა ჰქონდეს საჭირო ფული გზის ხარჯისთვის. ამ გვარი მგზავრთა ამხანაგობები შესამჩნევად აცოტავებს სამოგზაურო ხარჯს და საზოგადოდ ადვილებს ყოველ მხრივ მოგზაურობას და თან სასიამოვნოდაც ხდის.

⁂ **კავკასიაში სასამართლოს შემოღების 30 წლის თავი.** მომავალ წლის 19 თებერვალს შესრულდება ოცდა-ათი წელიწადი, რაც კავკასიაში ახალ წესის სასამართლოები შემოიღეს.

⁂ **ცნობების ბიურო მოგზაურთათვის.** ვარშავაში არსდება პოლონეთის პირველი ბიურო მოგზაურთათვის. ბიუროს მიზნად აქვს აღმოუჩინოს შემწეობა მოგზაურებს, ცნობის მოყვარეთ და ჩამოსულ ვაჭრებსაც. ბიუროს ეყოლება გამოცდილი გზის მაჩვენებლები ვარშავაში და მთელს პოლონიაში, აგრეთვე ექმნება ყოველ გვარი ცნობები შესახებ გეოგრაფიისა, გზის მისვლა-მოსვლისა, სტატისტიკისა, ვაჭრობისა და სხვა მრავალი.

⁂ **პრეზიდენტის დახვედრა პეტერბურგში.** სახელმწიფო ქაღალდების ბეჭდვის ექსპედიცია ემზადება დიდიდებულად მიიღოს პეტერბურგში საფრანგეთის პრეზიდენტი ბ-ნი ფორი. გადადებულია 10 ათასი მანათი მის მისაღებად. პრეზიდენტის თანადასწრებით ჩამოასხამენ ქაღალდს ფორის სურათით.

⁂ **ქურდობა.** 18 ივლისს პოლიც. მე-4 ნაწილ. ბოქაულისათვის გამოუცხადებია ტფილისის 1 გილდიის ვაჭარს გ. გ. მნაცაკანიანცს, რომ საწერის სტოლის უჯრიდამ ოთხასი მანათი ქაღალდის ფული მოპარეს 17 ივლისსაო; ქურდობას სწამებს თავისსავე მოსამსახურე ქალს ანისია ჩოუმაჩენკოს, რომელიც უკვე შეუპყრია პოლიციას. გამოძიება სწარმოებს. მოპარულის ფულის საპოვნელად ზომებია მიღებული.

⁂ **ლაბორატორიის ქუჩის მკვიდრთა საჩივარი ქალაქის გამგეობაზე.** ლაბორატორიის ქუჩის სახლის პატრონებს თხოვნა მიურთმევიათ ბ. კავკასიის მთავარმართებლისათვის, რომელშიაც აღუნიშნავთ, რომ ერთ წელიწადზე მეტია, რაც ქალაქის გამგეობას ვსთხოვეთ ქუჩის მოკირწყვლა და დღემდე პასუხიც-კი არ გვაღირსესო, და თხოულობენ, რომ ქალაქის გამგეობას დაევალოს საჩქაროთ შეაკეთოს და მოკირწყლოს ხსენებული ქუჩა, ხოლო ყოველივე საჭირო ხარჯი გარდახდეს ნაწილ-ნაწილ თვით სახლის პატრონებსო.

იმედია, ეხლა მაინც ყურადღებას მიაქცევს გამგეობა მკვიდრთა კანონიერს თხოვნას და ეცდება, რომ სხვა ქუჩა-მოედნების მკვიდრთა ამნაირი საყვედური მაინც აღარ დაიმსახუროს.

⁂ **უბედური შემთხვევა ცხენის რკინის გზაზე.** 15 ივნისს შემდეგი უბედურება მომხდარა: მოქალაქე სოლომონ სოდაგაროვი კუკიაში ჩამჯდარა ვაგონში და წამოსულა. როდესაც შუშის საწყობ ახალ მოედანთან მიუღწევიათ, სოდაგაროვს უთხოვნია კონდუქტორისათვის ცოტა შეაჩერეთ ვაგონიო (იქვე დუქანი ჰქონია თავისი), კონდუქტორს არ შეუწყნარებია ეგ თხოვნა და გაუქნებია ვაგონი, მაგრამ, როდესაც პოლიციის ნაწ. სამმართველოს მიახლოვებია, ვაგონი რაღაც ნაირად წაფერხებულა გადმოვარდნილა სოდაგაროვი, მოუტეხია თეძო და მუხლიც ულრძვია; გარდა ამისა ვაგონმა გადუარა მას ერთს მუხლზე, საცოდავი დამახინჯებული სოდაგაროვი იქ მყოფთ ხელით მიუტანიათ იქვე დუქანთან და იქიდამ ეტლით წაუყვანიათ ვერაზე ვიღაც აისორთან, რომელსაც უკისრნია მისი წამლობა, ფული—2 მან. 60 კაპ,—წინ და წინ გამოურთმევია და შეელით-კი ვერაფერს შველის.

დღესაც, თურმე, ეგრეთს გაჭირვებულს მდგომარეობაში და ტანჯვაშია საცოდავი წვრილი ცოლ-შვილის პატრონი სოდაგაროვი, რომელსაც შეძლება არა აქვს იწამლოს და თავის ცოლ-შვილს დაუბრუნოს ერთად-ერთი მრჩენელი მუშა.

⁂ **საზაფხულო საპედაგოგიო კურსები ტფილისში.** (გაგრძელება). მორიგ ლექციებზე სააბრეშუმო სადგურში ბ-ნ ვ. პ. ივანოვის მიერ განხილულ იქმნა აბრეშუმის ამოხვევა და მისი სხვა-და-სხვა ფერად შეღებვა. განსაკუთრებითი ყურადღება ბ-ნმა ივანოვმა მიაქცია აბრეშუმის სხვა-და-სხვა ფერად შეღებვას.

ოჯახობაში აუცილებლად საჭიროა სხვა-და-სხვა ფერი აბრეშუმის ძაფი; თუნდ აბრეშუმი ბევრიცა გვქონდეს, ჩვენის მოუხერხებლობის გამო იძულებულნი ვხდებით მომზადებული ძაფი ვიყიდოთ და ერთის შაურის ღირებულში ერთ აბაზს ვაძლევთ. ჩვენ რომ შემდეგი წამლები გამოვიტანოთ აფთიაქიდან და ცოტა გავისარჯნეთ მისს მომზადებაზე, არამც თუ სულ იაფად დავიკმაყოფილებთ ჩვენ მოთხოვნილებათ, პირიქით, ქიშპობასაც გავუწევთ უნდო ჩარჩ-მეწვრილმანეთ.

უცვლელი კანონი სხვა-და სხვა მღებავ წამალთა შემდეგია: აბრეშუმის სიმძიმის მიხედვით საღებავი წამალი $2^0/_0$—$10^0/_0$-მდე უნდა იყოს აღებული იმის-და გვარად—ძლიერ მუქი თუ ბაცი ფერი გვინდა, გოგირდის სიმჟავე (сѣрая кислота) $^1/_2{}^0/_0$—$2^0/_0$, მარსელის საპონი (марсельское мыло) $10^0/_0$, სუფთა წყალი, რამდენიც საკმარისია აბრეშუმის დასამალად.

ჩვენებურად რომ ვსთარგმნოთ, იქნება ასე: ათ გირვანქა აბრეშუმის ძაფზე ერთი გირვანქა მღებავი წამალია საჭირო, ერთი გირვანქა მარსელის საპონი და ცხრამეტი მისხალი გოგირდის სიმჟავე. ზოგიერთ ფერთათვის საჭიროა გოგირდის სიმჟავე, ზოგისთვის-კი არა. ნუსხაში მოყვანილია, თუ სითხე რა და რა მასალიდან უნდა შეზავდეს.

წითელი ფერის ძაფის მისაღებად საჭიროა „ფუშკინი", გოგირდის სიმჟავე. მწვანე ფერის მისაღებად „ზურმუხტის ფერი წამალი" (бриліантовая зелень) მარსელის საპონი. მუქი მწვანის მისაღებად „ცის-ფერი წამალი" (голубая щелочная зелень). ნარგიზის ფერის მისაღებად „ინდოეთის ყვითელი ფერი" (Индіская желтая зелень). შავი ფერის მისაღებად (черная навтоловая зелень), უბრალო მარილი $2^0/_0$ აბრეშუმის სიმძიმის მიხედვით. ბაცი ყვითელი ფერისთვის (пикриновая кислота). მიხაკი ფერის მისაღებად «იაპონური მიწა—ქაში (Японская земля—каша). ჭურჭელი თუ შუშისა არა, თიხისაც შეიძლება, მხოლოდ ვიწრო და მაღალი უნდა იყოს. წყალის სითბო არ უნდა აღემატოს 20°. აბრეშუმის ძაფი ხშირად უნდა ინძრეოდეს.

ბ-ნმა ვ. პ. ივანოვმა მიაქცია მასწავლებელთა ყურადღება უფრო იმიტომ, რომ რუსულ ენაზე არ მოიძებნება ისეთი სახელმძღვანელო, საიდანაც შეეძლოთ ეხელმძღვანელათ.

„ჩვენ სადგურს აზრათა აქვს, სთქვა ბ-ნმა ივანოვმა, გამოსცეს ამნაირი სახელმძღვანელო, მხოლოდ ერთ წელიწადზედ ადრე ვერ მოვახერხებთო". ბ-ნმა ივანოვმა აღუთქვა მასწავლებელთ შეუდგინოს სია, რა და რა საღებავი წამალია საჭირო სხვა-და-სხვა ფერის მისაღებად. დიდი მადლობის ღირსია ბ-ნი ივანოვი ასეთი ყურადღებისათვის. სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ ბბ.—ნნი ლექტორნი დიდის თავაზით და პატივის ცემით ეკიდებიან მასწავლებელთ, განსაკუთრებით ბბ.—ნნი შავროვი და ივანოვი. შემდეგი ლექცია წაკითხულ იქმნა ბ-ნ ნ. ნ. შავროვის მიერ მეფუტკრეობის შესახებ. განხილულ იყო მისი ანატომია და ამის საჭიროება ფუტკრების მოვლა-მოშენების დროს. ლექციაზედ მობრძანდა მათი ყოვლად უსამღვდელოესობა ეპისკოპოსი ალექსანდრე, სემინარიის რექტორის არქიმანდრიტის მ. სერაფიმითურთ.

ლექციის მოსმენის შემდეგ მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ დაათვალიერა მუზეი, შემდეგ მიბრძანდა სააბრეშუმო სადგურის ბაღში, დაათვალიერა ყველა ღირს-შესანიშნავი, იგემეს ბ-ნ ნ. ნ. შავროვის მირთმეული თაფლი. მათმა ყოვლად უსამღვდელოესობამ ძრიელ მოიწონა დ უსურვა მასწავლებელთ, მათაც მოუმზადებინათ ესეთი შესანიშნავი თაფლი. არ შეგვიძლიან არ აღვნიშნოთ კურსების ინსპექტორის მ. მარკოზ ტყემალაძის ერთგული სამსახური და ჯეროვანი მადლობა არ განვუცხადოთ.

მ—შვილი.

⁂ **ახალი წიგნები.** ჩვენმა რედაქციამ მიიღო ორი ახალი ქართული წიგნი: 1) **„ბავშვების მოკეთე"**, ანუ ანბანი და პირველი საკითხავი წიგნი, სკოლებში სახმარებელი, შედგენილი სათავად-აზნაურო სკოლის მასწავლებლის ალ. ნათაძის მიერ. წიგნი შეიცავს 156 გვერდს და ღირს 30 კაპ. „ბავშვების მოკეთე" დასურათებულია მრავალის ნახატებით, შეიცავს წერისა და ხატვის ნიმუშებს. წიგნი საზოგადოდ სუფთად და გვარიანი ნახატებით არის გამოცემული. „ბავშვების მოკეთე" ღირსია იმისი, რომ ვრცლად იყოს გარჩეული. ეს მოითხოვს დროს და შრომას, ამიტომ გრძელი სიტყვა ამ წიგნზედ გადაგვიდვია სხვა დროისთვის.

2) „ნათელა", ძველებური ამბავი, კაკისა, ქუთაისში გამოცემული ბ. მ. ლაღიძის-მიერ. 72 გვერდია, ღირს 20 კაპ. ავტორის ცნობილი სახელი თავდებია იმისი, რომ წიგნი ღირსია გავრცელებისა ხალხში. საზოგადოდ წიგნი სუფთად არის გამოცემული დ, შედარებით, იაფია. ეჭვი არ არის, რომ წიგნი მალე გაიყიდება და გავრცელდება მდაბიო ხალხში.

⁂ **თელავი. სასამართლოს განაჩენი.** აქაურმა სასამართლომ გაარჩივა საქმე თელავის მოქალაქეთ არუთინ დავიდოვისა და მეორე გილდის ვაჭრის აბელ მატინოვისა. პირველს ჰპრალდებოდა გალახვა მეორისა. მომრიგებელმა მოსამართლემ დამნაშავედ იცნო არუთინ დავიდოვი და 7 დღით დაპატიმრება მიუსაჯა.

სასარგებლო ცნობა.

ჰაეროსტატით მოგზაურობა ჩრდილოეთის პოლიუსზედ. ამ ერთის კვირის წინად, 11 ივლისს, ნაშუადღევის 2 საათსა და 35 წამზედ, ანდრე გაფრინდა ჰაეროსტატით ჩრდილოეთის პოლიუსის სანახავად. 11 ივლისი ჩინებული დღე იყო. დაჭბერა სამხრეთის

ლას მას, რაც კარგი სჭირს მეცნიერებას, მხოლოდ ის შეუთანხმებს საღმრთო წერილის აზრს მეცნიერების თეორიის. სასურველია, რა თქმა უნდა, დაირღვეს, გაქარწყლდეს, რაც ილიუზიაა და მის ნაცვლად ნამდვილი რწმენა, შეხედულობა გამოირკვეს, მაგრამ, რაც უნდა ითქვას, ჩვენ არა გვაქვს არავითარი უფლება ერთბაშით შევეხოთ სარწმუნოებას, რწმენას და ყველას მას, რითიც აქამდის კაცი ხელმძღვანელობდა, თუნდ ეს ყველა ფუჭი და გამოუსადეგი ოცნებანი იყვნენ, მით უმეტეს, რომ თვით მეცნიერებას არ უთქვამს თავის უკანასკნელი სიტყვა და როდის იტყვის, არც ეს ვიცით. მაშ როდემდის უნდა ეძლეოდეს ოცნებას ხალხი, როდის შეიტყობს იგი ნამდვილს, უტყუარს ვითარებას? მაშინ, ბატონებო, როდესაც კაცობრიობა იმდენად მომზადებული იქნება, რომ შეიძლებს მეცნიერების იდეების მონელებას, შეიძლებს მეცნიერულ პრინციპების ცხოვრებაში გაყვანას და ამ პრინციპებზედ შეიძლებს თავის ცხოვრების აშენებას.

შორს მხედველი კაცი უწინ არ შეუდგება სახლის ნგრევას, მანამ კარგათ არ გამოიანგარიშებს, თუ რა მიზნით, ან რას ააშენებს სამაგიეროთ, ან მზათ აქვს საჭირო მასალა ახალი შენობისთვის, თუ არა. ტეხნიკაში, მაგალითად, ვერ მიჩვენებთ ისეთს ინჟენერს, რომელსაც თავის „პროფესიად", ხელობად, მხოლოდ გაუქმება და მთლად განადგურება მიაჩნდეს იმ იარაღისა, რომელიც დროსა და სხვა-და-სხვა გარემოების მიზეზით უვარგისი შეიქმნა, და არა უკანასკნელის გაუმჯობესობა, გადაკეთება. ცხოვრებაშიაც ეს ერთად-ერთი უტყუარი აზრია, თუმცა ბევრი ამის წინააღმდეგი აზრი გაგვიგონია. გავიხსენოთ თუნდა ტურგენიევის ბაზაროვი. კაცი თუ დაადგა იმ აზრს, რომ ცხოვრების აშენება მეცნიერების პრინციპზედ შეუძლებელია, ეს მხოლოდ იმისათვის, რომ საკმაოდ მომზადებული არ იყო შეეთვისებინა მეცნიერების იდეები ცალკე აღებული, თუ ესენი საღმრთო წერილის აზრთან არ იქნებოდნენ შეთანხმებული, მოსჭიდებოდა მეცნიერულს საფუძვლებს თავისს ამ ქვეყნად ცხოვრება-მოქმედებისას; უმაღლესთა ვნებანთა სიყვარულისა, ძმობა-ერთობისა, ჭეშმარიტებისა და სხვანი... ვერ მოიკიდებს მკვიდრათ ფეხი და ქვიშაზე აგებულს სახლს დაემგზავსნენ. „მეცნიერება სრულიადაც უარს არ ჰყოფს კეთილს საქმეს, ერთობას, სიმართლესო, თავის დევიზად არ აღიარებს „homo homini lupus est"-ო!!. ეს ყველა მართალია, მაგრამ დარწმუნებული ხართ, რომ ეხლანდელ დროში ჩვენს ქუჩებზედ რომ უეცრად გამოცხადდეს უცნობათ სრულებით იესო ქრისტე, ის ტანჯულ-წამებული იესო სწორეთ იმ მდგომარეობაში და იმ ნაირათ, როგორც ეს მოხდა უკანასკნელათ გალილეიაში და დაიწყოს ძმობის, ერთობის და თავისი აზრების ქადაგება, დარწმუნებული ხართ განა, ვიმეორებ, რომ ეს უცნობი კაცი საზოგადოებას ცოცხალი გადურჩება? აბა, რამდენი კაცი გასცემს ეხლანდელ დროში თავისს საცხოვრებელს და ცარიელ-ტარიელი დაედევნება ზემოხსენებულს? რისამე რწმენა, რისაც უნდა იყოს, დიდი რამ არის და ჩვენც სწორედ ეს რწმენა გვაკლია.. ამბობენ, მწერლობა ნამდვილი სარკეაო, დროის, კაცობრიობის დამახასიათებელი სურათიაო. თუ იმას ვიტყვით, რუსეთის ლიტერატურის სიღატაკეს ჩვენ დროში ბევრი სხვა-და-სხვა მიზეზები აქვს, თვით საფრანგეთი, გერმანია, ინგლისი რაღას აკეთებენ? საითაც უნდა მიიხედოთ ევროპაში, დარწმუნდებით, რომ ლიტერატურა უკანასკნელ დროში არა ჰყვავის და მაინც-და-მაინც საუკეთესო მდგომარეობაში არ იმყოფება. თუ კარგათ ჩაუკვირდებით ეხლანდელ მწერლობა-მხატვრობის მიმართულობას, აქაც ამავე დაუსრულებელ ძებნას, აწმყოით უკმაყოფილებას შეხვდებით; და აი ეს ყველა უნდა გახლდეთ ურწმუნოების შედეგი; რა თქმა უნდა, მეცნიერება მიაღწევს ოდესმე თავის მიზანს, ყოველსავე მოვლენას სრულ სინათლეს მოჰფენს, ილიუზიას, თავის მოტყუებას გჰფანტავს, მაგრამ ჩვენდა. კიდევ იქნება რამდენსამე თაობას აღარა გვეშველება-რა; ჩვენ სხნა აღარა გვაქვს. მეცნიერებამ არ დაიცვეს არავითარი პედაგოგიური წესი და სრულებით გაუფრთხილებლად მოგვაწოდეს ჯერ მცირე-წლოვანებს, თითქმის ბავშვებს, თავისი იდეები, რომლების მონელება ჩვენ ვერ შევიძლით, მეტი ტვირთისაგან ურემივით ჭრიჭინი დავიწყეთ, ავად დავხვდით და თუ მართლა კანონათ შეიქმნა ის გარემოება, რომ ყოველ დიდ რეფორმისთვის ისტორიაში აუცილებლათ სხვერპლია საჭიროვო, ჩვენც სწორეთ, თუმცა ჩვენდა უნებლიეთ, თან გადავყევით ამ იდეებს და უკეთესი სხვერპლიც ხომ აღარ შეიძლება...

ქ. ლიეჟი.

თ. გ. ამირეჯიბი.

ნავმა, რომელსაც დიდი ხანი ელოდდა ანდრე. მალე ის ნავი მრიელ ქარ-ტემალად გადაიქცა. მე ვფიქრობდი, — სწერს კორრესპონდენტი: ნუ თუ ასეთს ქარში გაჰბედავს ანდრე ჰაერში აფრენას? ეს ხომ ყოვლად შეუძლებელია. მანამ მე ასეთს ფიქრებში ვიყავ გართული, უნახოთ: რაღაც მოძრაობა შეიქმნა ბოსლის წინ, სადაც ამზადებდნენ ჰაეროსტატს. რას ნიშნავს ეს? ნუ თუ მართლა გადაწყვეტილი აქვს ანდრეს თავის განწირვა? ნუ თუ აღარ იშლის და ამ ქარიშხალში აპირობს მგზავრობას? აღარ იყო ეჭვი, რომ ანდრეს გადაეწყვიტა ასვლა ჰაერში. ხალხი მრავლად იყო თავ მოყრილი. ყველა გულის ფანცქალით ელოდდა საინტერესო ამს. აგერ გამოჩნდა თვით ანდრეც და მისი ორი ამხანაგი: სტრინდბერგი და ფრენკელი. ესენი სამგზავროდ არიან ჩაცმულნი. აგერ გაცშორდა ფუს-ფუსი ჰაეროსტატის გარშემო: აწყობენ და ჰკიდებენ კალათებს საჭმელ-სასმელებით ბოლოს შეკიდნენ ნავში მამაცი მგზავრები. ეს ნავი ჰაეროსტატს აქვს ქვემოდამ მობმული. აგერ შესჭრეს წვრილი თოკები, რომლებიც ჰაეროსტატს ამაგრებდნენ, დაიძრა ბურთი, აიტაცა ქარმა და წაიღო ჩრდილოეთისკენ. ანდრემ და მისმა ამხანაგებმა მოიხადეს ქუდები და ზეციდამ სალამს გვაძლევდნენ, ხალხიც მირიდგან უყვიროდა „ვაშას" და უგზავნიდა სალამს. ჩვენ გავქანდით ზღვის კიდისკენ. ჰაეროსტატი ამ დროს იქნებოდა 60 მეტრის სიმაღლეზედ დედამიწიდგან.

უცებ ყველას ჭირის ოფლი დაასხა. რა ამბავია? ისა, რომ ქარმა გაიტაცა ანდრეს ბურთი და გამალებული მიაქვს სამრენბურგის კლდეებისკენ. ერთი წამიც და ბურთი დაეჯახება ამ კლდეებს და დაიმსხვრევა, ლუკმა-ლუკმად იქცევა. ყველა შიშის ზარმა აიტანა. მაგრამ აგერ დაჰბერა უცებ აღმოსავლეთ-სამხრეთის ქარმა და ჰაეროსტატი ისევ ზღვისაკენ გაიტაცა. გადარჩა! დაიძახა ხალხმა.

ამ ხელად კი გადარჩა, მაგრამ რამოდენი განსაცდელი მოელის ამ საკვირველის გამბედაობის და გულის პატრონებს, — ეგ ერთმა ღმერთმა იცის. აგერ ახლა კიდევ ქარი ზემოდამ დააწვა ბურთს და ზედ ზღვის პირამდე დაუშვა, აგერ ნავი ზედ წყალზედ დასცურავს. აქ გამბედავთ მოგზაურთ მაჰხსნენ ორი ტომარა ხარახურით სავსე და გადააგდეს ზღვაში, რომ დაემსუბუქებინათ ჰაეროსტატი. მაშინ იგი კვლავ წავიდა ცაში. ნაშუადღევის სამი საათი იქნებოდა, რომ ანდრე და მისი ბურთი დავკარგეთ მხედველობიდგან.

ჩვენის ფიქრით, ქარმა უეჭველად წაიღო ჰაეროსტატი გრენლანდიისკენ ანუ ამერიკის ჩრდილო ნაპირებისკენ.

მთელი შვეცია განცვიფრებულია ანდრეს ასეთის თავგანწირვით და გაბედულებით. სტოკჰოლმიდგან იწერებიან, რომ მთელი ერი გულის ფანცქალით ელოდება ანდრეს ამბავსა. შვეცია რად გნებავთ, როდესაც მთელი ქვეყნიერობის განათლებული ნაწილი და ყველა სწავლულ-მეცნიერნი მოუთმენლად ელიან ანდრეს მოგზაურობის შედეგს.

წვრილი ამბავი

მუშების გაფიცვა ინგლისში. გაზეთები მოგვითხრობენ შემდეგს: ამ ჟამად ინგლისში დიდი მოძრაობაა მუშების გაფიცვის გამო. გაიფიცნენ აღმოსავლეთის კომპანიის გემების დამტვირთველი და დამცლელი მუშები, რომლებმაც აიძულეს მეპატრონეები სახელოსნოებში სამუშაო დღე რვა საათზედ დაეყვანათ. ჯიუტი კაპიტალისტების კრებულს არ შეუერთდნენ ოცი მეპატრონე, რომლებმაც შეამოკლეს სამუშაო დღე, მუშებას თხოვნისა და გვარად. ამ ოცს მიემატა კიდევ შვიდი კაპიტალისტი, რომლებმაც ოფიციალურად შეატყობინეს კრებულის უფროს მდივანს, რომ მათ მიიღეს რვა საათი სამუშაო დღეთ.

ამ გვარად გათავდა მუშების გაფიცვა, გაიმარჯვა შვიდი ათასმა მუშამ. უკანასკნელების დღესასწაულობას საზღვარი არა ჰქონდა: აღტაცებული ყვირილი, სიმღერა, მუზიკით და ზარბაზნებით სიარული ქუჩებში, გრძნობით სავსე სიტყვები კაპიტალისტების კრებულთა გამარჯვებაზე — აშკარად ამტკიცებდა მათ სულიერს სიხარულს და გამარჯვებას.

ზოგიერთ კაპიტალისტების ამ გვარმა დათანხმებამ, რასაკვირველია, მოსალოდნელი ოპოზიცია გამოიწვია სხვა კაპიტალისტებში. შესდგა კრება კაპიტალისტებისა, სადაც ერთნი ამტკიცებდნენ სტატისტიკურის ცნობებით, რომ ისინი მართლები იყვნენ, როცა არა თანხმდებოდნენ მუშების მოთხოვნილებებზედ.

მუშების შეერთებულმა კრებულებმა მოისურვეს გაევრცელებინათ მოძრაობა რვა საათიან სამუშაო დღის სასარგებლოდ ყველა მუშებში. ამის გულისთვის მათ გაუგზავნეს ყველა სინდიკატებს შემდეგი სამი კითხვა:

1) უნდა შემოკლდეს თუ არა პრინციპიალურად სამუშაო დღე?

2) რამდენი საათი გსურთ იქნეს მიღებული სამუშაო დღეთ?

3) როგორა ფიქრობთ, დადგა თუ არა დრო ამოვიღოთ ხმა ჩვენი ინტერესების დასაცველად?

ამ კითხვებზედ პასუხის მიცემა აუარებელი მუშებისაგან, რა თქმა უნდა, ცოტა ხანში შეუძლებელია. მექვაბეებმა პირველსა და მესამე კითხვებზედ „ჰო" განაცხადეს და სამუშაო დღე რვა საათით განსაზღვრეს. ფოლადის მკეთებლებმა $8^{1}/_{2}$ საათი განაცხადეს მუშაობის კადად დღეში. სპილენძის მკეთებლებმა 8 საათი და ბოლოს დასძინეს, რომ უნდა ვიმოქმედოთ რაც შეიძლება ენერგიულად, თუნდა გაფიცვით თუნდა სხვა იარაღითაცა. დურგლები იმ აზრისანი არიან, რომ სამუშაო დღე ადგილის დამოკიდებულებით უნდა შემოკლდეს. პრინციპიალურად კი ჯერ ადრეა სამუშაო დღის შემოკლება. მღებრები და გემების მუშები რვა საათს ასახელებენ სამუშაო დღეთ. მარტო რკინის ხელოსნებმა მჭედლებმა (სლესრებმა) განაცხადეს, რომ ჩვენთვის ჯერ-ჯერობით არავითარი ცვლილება საჭირო არ არის. ესეთი ცნობები მიიღო შეერთებულმა კრებულმა მუშებისამ მხოლოდ ლონდონიდგან. ეხლა ელიან პროვინციის პასუხებს და მაშინ თვით სადაო კითხვაც გადასწყდება რვა საათი იყოს დღეში მუშაობა თუ მეტი, როგორც ეხლა არის მთელს ინგლისში.

ნიხრი.

ძროხის ხორცი პირველის ხარისხისა გირვანქა	8 კაპ.
სუკი—გირვანქა . . .	12 —
ცხვრის ხორცი გირვანქა .	8 —

ამიერ კავკასიის რკინის გზა

მატარებელის ახალი მიმოსვლა 6 მაისიდგან.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 15 წ. მიდის ბათომში საღ. 8 ს. 48 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 9 ს. 34 წ. მიდის ბაქოში 1 ს. 2 წ. დღის.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 7 ს. 45 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 34 წ,

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 4 ს. 1 წ. მოდის თბილისში 8 ს. 30 წ. დილ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 3 გადის საღამოს 8 ს. 45 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 45 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 12 ს. 20 წ. მოდის თბილისში საღ. 7 ს. 10 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის საღამოს 8 ს. 35 წ., მოდის თბილისში დილ. 9 ს. 11 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის დღისით 11 საათ. მიდის ბაქოში დილით 6 ს.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით, გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-საპასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-საპასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუალამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

დიდის ხნის სურვილი გამიხორციელდა და საკუთარი ჟურნალის გამოცემის ნება-რთვა მივიღე და ამ 1897 წლის პირველ ენკენისთვიდან, ყოველ თვე და თვე, გამოვა

„კრებული"

სამი განყოფილებით: 1-ში იქნება ახალი ჯერ დაუბეჭდელი, ყოველგვარი ჩემი თხზულებათაგანი, 2-ში ჩემი თავ-გადასავალი, ანუ ნახული და გაგონილი, ჩვენის ქვეყნისა და ცხოვრების შესახები.—შიგა და შიგ ჩართული იქნება ხელ-ახლა ყოველისფერი, რაც-კი ამ ორმოცი წლის განმავლობაში მიწერია,—სჭირო შენიშვნებითა და განმარტებით... 3-ში ზეპირ-გადმონაცემი, ხალხური პოეზია, ე. ი. შაირები, ზღაპრები, ძველი ამბები, ანდაზები, არაკები, გამოცანები, შელოცვები და სხვანი.

ვადგანაც ამ უკანასკნელს მეტს მნიშვნელობას ვაძლევთ სხვა ყოველისფერზე, ამისათვის ყველასა ვსთხოვთ, რომ შემწეობა აღმოგვიჩინონ ამ დიდ საქმეში.

საზოგადოდ ხალხურ პოეზიაზე და მისს შეკრების შესახებ ვრცელი სტატია იქნება პირველ ნომერშივე.

წელიწადში გამოვა თორმეტი წიგნი და ეღირება ტფილისში მცხოვრებთათვის 6 მან., ხოლო ქალაქ გარეთ გაგზავნით 7 მან. წელიწადში; ნახევარი წლით-კი 4 მან.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების» წიგნის მაღაზიაში შიო ქურჩუკაშვილთან (სათავად-აზნაურო ქარვასლაში). ელენე ანტონოვსკისთან—ბიბლიოთეკაში.

იოსებ მერკვილაძის მაღაზიაში (ლორის მელიქოვის ქუჩა, ზუბალოვის სახ. № 4) და ტფილისის ამხანაგობის „შუამავალის" მაღაზიაში.

ქუთაისში: ბექანეიშვილის წიგნის მაღაზიაში და მიტროფანე ლაღიძესთან.

ბათომში: მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, დოქტორ ვოლსკი'თან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ფოთში: სოფრომ მგალობლიშვილთან, იაკობ ფანცხავასთან, ქ ნ ნინო ბერეჟიანთან და ვლადიმერ ახობაძესთან.

ოზურგეთში: კოწია თავართქილაძესთან, „შუამავალში".

ლანჩხუთში — „შუამავალში", გ. თავართქილაძესთან.

საჩხერეში — „შუამავალში".

საჩხერეში: ყარამან ჩხეიძესთან.

ჭიათურაში: ირაკლი დეკანოზიშვილთან.

ყვირილაში (ზესტაფონში): დეკანოზ დავით [illegible]ამიძესთან და ალექსანდრე არაბიძის წიგნის მაღაზიაში.

წიფაში: კირილე ხარაძესთან.

ზუგდიდში: კნეინა ანეტა დადიშქელიანთან.

სენაკში: ბესარ. დავითის ძე ქავთარაძესთან, [illegible] ყიფიანთან და კოწია თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში.

ონში: თავ. ქაიხოსრო გელოვანთან.

განჯაში: ალექსანდრე მიქაბერიძესთან და სო[illegible] დოლიძესთან.

ბაქოში: გიორგი დეკანოზიშვილთან.

კავკავში: ალექსი ბეს. ჭიჭინაძესთან და ივან[illegible]თავიშვილთან.

ხონში: ივანე შარაშიძესთან.

გორში: ნიკო ლომაურთან, მიხეილ ილურიძესთან და რომანოზ ფანცხავასთან.

თელავში: ბარბარე პაატას ასულ სულხანიშვილთან, კნიაგინა მარიამ ესტატეს ასულ ვახვახიშვილთან და ივანე გ[illegible]შვილთან.

სიღნაღში: დ. მაჩხანელთან [illegible]

ახალციხეში: გრიგოლ [illegible]

ახალქალაქში: ილია ალხაზიშვილთან.

ხაშურში: იოსებ ნიკოლოზის ძე ფანცულაიასთან.

მოლითში: პავლე გურცხალიასთან.

ბრეთში: თავ. ვანო ავალიშვილთან.

გუდაუთში (სოხუმის ოლქში) გიორგი ბაღდავაძესთან.

ალსტაფაში მიხეილ გორდაძესთან.

ამას გარდა სხვა დაბა-ქალაქებშიაც გვეყოლება აგენტები, რომელთაც ექნებათ დაბეჭდილი და ჩვენი ხელ-მოწერილი ბარათები.

(20—18) «კრებულის» რედაქტორი **აკაკი.**

1896 წელს ჩემ მიერ გამოცემული

ცხრამეტი წიგნი და ერთი ალბომი

„ქართველთა ცრემლი" ასამდე სურათით

და მშვენიერის ყდით გაეგზავნება მსურველს

5 მანათად.

ადრესი: ივანე პავლეს ძე როსტომაშვილს. (15—15)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 19 Іюля 1897 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21.

რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია